

შპს „ბებე +“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს“ ბებე +“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9

შპს „ბეზე +“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

		12/31/2024	12/31/2023	1/1/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	735,597	790,802	2,406,594
საინვესტიციო ქონება	4	2,754,313	1,844,928	1,653,624
სხვა არამატერიალური აქტივები	5	50,643	55,988	61,333
		3540553.17	2691718.67	4121550.86
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	13,983	94,141	101,055
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,069,550	617,554	425,274
მარაგები	8	5,807,798	5,756,892	5,579,779
		6,891,330	6,468,587	6,106,108
მთლიანი აქტივები		10,431,884	9,160,306	10,227,659
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		119,447	286,255	1,051,751
გადაფასების რეზერვი		-	1,542,197	1,539,700
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,587,341	1,804,962	2,501,577
		4,706,788	3,633,415	5,093,028
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	997,881	2,191,730	2,164,171
ანარიცხები		-	-	-
		997,881	2,191,730	2,164,171
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1,950,613	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2,764,470	3,251,931	2,806,609
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		12,131	83,231	163,850
		4727214.62	3335161.55	2970459.77
მთლიანი ვალდებულებები		5,725,096	5,526,891	5,134,631
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,431,884	9,160,306	10,227,659

შპს ბებე +

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის
(ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		12/31/2024	12/31/2023	1/1/2023
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	735,597	790,802	2,406,594
საინვესტიციო ქონება	4	2,754,313	1,844,928	1,653,624
სხვა არამატერიალური აქტივები	5	50,643	55,988	61,333
		3540553.174	2691718.67	4121550.86
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	13,983	94,141	101,055
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1,069,550	617,554	425,274
მარაგები	8	5,807,798	5,756,892	5,579,779
		6,891,330	6,468,587	6,106,108
მთლიანი აქტივები		10,431,884	9,160,306	10,227,659
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		119,447	286,255	1,051,751
გადაფასების რეზერვი		-	1,542,197	1,539,700
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,587,341	1,804,962	2,501,577
		4,706,788	3,633,415	5,093,028
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	997,881	2,191,730	2,164,171
ანარიცხები		-	-	-
		997,881	2,191,730	2,164,171
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	1,950,613	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2,764,470	3,251,931	2,806,609
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		12,131	83,231	163,850
		4727214.621	3335161.55	2970459.77
მთლიანი ვალდებულებები		5,725,096	5,526,891	5,134,631
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,431,884	9,160,306	10,227,659

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ნანა ჭითავა

12-16 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს „ბეზე +“

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

		2024	2023
ამონაგები	11	12,331,729	10,946,495
თვითღირებულება		(6,822,294)	(5,997,125)
საერთო მოგება		5,509,435	4,949,371
სხვა შემოსავლები	12	798,275	227,961
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(4,029,938)	(3,182,894)
მიწოდების დანახარჯები	14	(30,422)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	15	(169,070)	(143,890)
სხვა ხარჯები	16	(16,348)	(37,179)
საოპერაციო მოგება		2,061,932	1,813,367
ფინანსური შემოსავალი	17	-	-
ფინანსური ხარჯი	17	(217,863)	(154,276)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(217,863)	(154,276)
მოგება დაბეგვრამდე		1,844,068	1,659,091
მოგების გადასახადის ხარჯი		(90,578)	(45,119)
წმინდა მოგება		1,753,490	1,613,972
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	2,498
მთლიანი სრული შემოსავალი		1,753,490	1,616,470

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	1,051,751	1,539,700	2,501,577	5,093,028
წმინდა მოგება	-	-	1,613,972	1,613,972
სხვა სრული შემოსავალი	(765,496)	2,498	(2,054,914)	(2,817,912)
პერიოდის სრული შემოსავალი	(765,496)	2,498	(440,942)	(1,203,940)
გაცემული დივიდენდი	-	-	(255,674)	(255,674)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	286,255	1,542,197	1,804,962	3,633,415
წმინდა მოგება	-	-	1,753,490	1,753,490
სხვა სრული შემოსავალი	-	(1,542,197)	1,542,197	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(1,542,197)	3,295,687	1,753,490
გაცემული დივიდენდი	-	-	(513,277)	(513,277)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(166,808)	-	(31)	(166,839)
2024 წლის 31 დეკემბერი	119,447	-	4,587,341	4,706,788

შპს „ბებე „

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ბებე + (შემდგომში – კომპანია) (205234012) დაფუძნდა 2007 წლის 20 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, კანდელაკის ქ., №16, ბინა 45

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საბავშვო ტანსაცმლით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ცვეთის ნორმა (%)

ელექტრო მოწყობილობები

5

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა

5

შენობები

20

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2022	2,193,002	210,209	3,382	-	-	2,406,594
შემოსვლა	102,077	200,106	50,811	-	140,900	493,893
გასვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა რეორგანიზაციის შედეგად	(2,036,557)	-	-	-	-	(2,036,557)
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2023	258,522	410,314	54,193	-	140,900	863,930
პერიოდის ცვეთა	(7,822)	(63,804)	(1,501)	-	-	(73,128)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	250,700	346,510	52,692	-	140,900	790,802
შემოსვლა	7,822	143,918	-	352,112	145,134	648,986
პერიოდის ცვეთა	-	(126,094)	(10,784)	(56,258)	-	(193,136)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	(258,522)	-	-	-	(252,533)	(511,055)
31 დეკემბერი 2024	0	364,334	41,908	295,854	33,501	735,598
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	250,700	346,510	52,692	-	140,900	790,802
31 დეკემბერი 2024	0	364,334	41,908	295,854	33,501	735,598

გადაფასების თარიღი: 31.12.2024. გადაფასებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ანალოგთა მეთოდით ცვეთის მეთოდით: წრფივი

2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 9).

2023 წელს კომპანიას რეორგანიზაციის შედეგად გამოეყო ახალი კომპანია "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების" ფორმით, საფირმო სახელწოდებით შპს "ვაკე სთარ". გამოყოფილი კომპანიის საკუთრებაში რეორგანიზაციის შედეგად გადავიდა შპს ბეზე პლიუსის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობა რეალური ღირებულებით 2 036 557 ლარი.

2024 წელს კომპანიის ბალანსზე არსებული შენობა გაიცა იჯარით, რის გამოც გადაკვალიფიცირდა ძირითადი საშუალებიდან საინვესტიციო ქონებაზე. საინვესტიციო ქონების შესაბამისი გადაფასების რეზერვი გადავიდა გაუნაწილებელ მოგება-ზარალზე.

	31.12.2024
ნეტო საბალანსო ღირებულება:	735,598

შენიშვნა 4

საინვესტიციო ქონება	2024	2023
რეალური ღირებულება	1,844,928	1,653,624
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი რეალური ღირებულების ცვლილებიდან	909,384	191,304
რეალური ღირებულება	2,754,313	1,844,928

საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით ფასდება ყოველი წლის 31 დეკემბერს, დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებლის მიერ. 2024 წელს კომპანიის ბალანსზე არსებული შენობა გადარეკლასდა ძირითად საშუალებად. შესაბამისი გადაფასების რეზერვი გადავიდა გაუნაწილებელ მოგება-ზარალზე.

შენიშვნა 5

სხვა არამატერიალური აქტივები

	ვებ-გვერდი	სულ
31 დეკემბერი 2022	21,380	21,380
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	-
ზრდა არამატერიალური აქტივების შეძენის გამო	39,953	39,953
პერიოდის ამორტიზაცია	(5,345)	(5,345)
სხვა ცვლილებები	-	-
31 დეკემბერი 2023	55,988	55,988
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	-
ზრდა არამატერიალური აქტივების შეძენის გამო	-	-
პერიოდის ამორტიზაცია	(5,345)	(5,345)
სხვა ცვლილებები	-	-
31 დეკემბერი 2024	50,643	50,643
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2024	50,643	50,643

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
ნადდი ფული სალაროში	957	29,812
ეროვნული ვალუტა ბანკში	12,888	64,329
უცხოური ვალუტა ბანკში	138	0
სულ	13,983	94,141

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	159,332	147,463
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	896,135	470,090
მოთხოვნა ანგარიშვალდებული პირის მიმართ	14,083	-
სულ	1,069,550	617,554

შენიშვნა 8

მარაგები

	2024	2023
ნედლეული და მასალები	1,954	960
მზა პროდუქცია	5,805,844	5,755,933
სულ	5,807,798	5,756,892

შენიშვნა 9

სესხები

	2024	2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	997,881	2,191,730
სულ სესხები	997,881	2,191,730

მოკლევადიანი

საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	562,640	-
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	1,377,397	-
გადასახადელი პროცენტი	10,576	-
	1,950,613	-

სულ სესხები	2,948,494	2,191,730
--------------------	------------------	------------------

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2030 წლის 20 მაისი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5% .
საწარმოს დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა
კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად რომელთა ღირებულება აღემატება 1,000,000 ლარს.

გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

შენიშვნა 10

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,764,470	3,251,931
სულ	2,764,470	3,251,931

შენიშვნა 11

ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	12,331,729	10,946,495
მომსახურების გაწევა	-	-
სულ	12,331,729	10,946,495

შენიშვნა 12

სხვა შემოსავალი

	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	39,072	-
არასაოპერაციო მოგება	19,069	227,961
მოგება საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	740,134	
სულ	798,275	227,961

შენიშვნა 13

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,735,668)	(1,271,189)
მივლინების ხარჯები	(16,813)	(3,413)
სხვა ხარჯი	(461,312)	(394,853)
საწვავი	(39,263)	(16,761)
იჯარის ხარჯი	(1,368,547)	(1,251,910)
ოფისის ხარჯი	(30,624)	(15,898)
კომუნალური ხარჯები	(50,172)	(48,306)
კომუნიკაციის ხარჯები	(21,769)	(27,120)
დაზღვევის ხარჯი	(9,993)	(7,884)
რემონტი	(16,897)	(29,888)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(80,400)	(37,200)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(198,481)	(78,473)
სულ	(4,029,938)	(3,182,894)

შენიშვნა 14

მიწოდების ხარჯები

	2024	2023
რეკლამის ხარჯი	(30,422)	-
სულ	(30,422)	-

შენიშვნა 15

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2024	2023
საკუროს სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(169,070)	(143,890)
სულ	(169,070)	(143,890)

შენიშვნა 16

სხვა ხარჯები

	2024	2023
ზარალი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	(10,064)	-
სხვა ხარჯები	(6,284)	(37,179)
სულ	(16,348)	(37,179)

შენიშვნა 17

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

	2024	2023
ფინანსური ხარჯი		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(217,863)	(154,276)
სულ ფინანსური დანახარჯები	(217,863)	(154,276)

სულ ფინანსური შემოსავალი	-	-
---------------------------------	----------	----------

ნეტო ფინანსური დანახარჯები	(217,863)	(154,276)
-----------------------------------	------------------	------------------

შენიშვნა 18

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2025 წლის 1 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიმდინარე წლის ივლისის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ დაამატა 1 ფილიალი გორში. კომპანია ფუნქციონირებს ჩვეულ რეჟიმში. სხვა მნიშვნელოვან საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.